№ 119 12 მარიამობისთვე, პარასკევი 1866—1877 12 მარიამობისთვე, პარასკევი № 119

უქმე დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბ.ღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანკოვის ქუჩ. ზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: ქვეტი ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივს ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ხუთი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

პირველი აგვისტოდამ ვიდრე 1878 წლის პირველ იანვრამდინ

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანკოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ფასი ხუთი თვის გაზეთისა—4 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба.“*

ცალკე ნომრები „დროებისა“ ისყიდება:

ვართანოვის წიგნის მაღაზიაში (პუკიის ხიდზე, მირზოევის შენობაში)

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (პუკიის ხიდთან, ზუბალოვის სახლში)

„სულთანის“ თამბაქოს მაღაზიაში (სუდის ქვეშ).

„კარდანახის“ სარდაფში (სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში)

აზნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში ბულვარზე)

გრიგოლოვის მაღაზიაში („კავკაზის სასტუმროს ქვეშ, მირზოევის სახლებში).

ჯიმშეროვის თამბაქოს მაღაზიაში (პუკიის ხიდზე).

ქუთაისში—ხვ. ჩომახიძესთან (გუტენბერგის სტამბაში).

ტელეგრამმები

ბრძოლის ველიდამ

გორნი-სტუდენი, 9 აგვისტოს. მომქმედ არმიის სარდალის ტელეგრამმა: დღეს, 7-ს საათზე დილით, სულეიმან-ფაშის 40 ბატალიონმა იერიშით მოუვიდა შიპკის გასავალზე; რამდენიმე ჯერ უკუღევნილნი იქმნენ.—ჩხუბი, თუმცა ჩამოლამდა, მაგრამ მაინც არ შეწყნარებულა. დღეს დილით მტერი ლოჩვიდამ სელვაზე მისვლას აპირებს; შუადღისას ჩვენს, სოფიასთან მდგომს, წინა ჯარებსა და იმათ შუა სროლა გაიმართა, მაგრამ ჯერ არ ვიცით რითი გა[illegible]

—

ბელგრადი, 2 ს აგვისტოს. თავად მილანის წყალობით, მინისტრების კრიზისს ავშორდით. სტევჩა მიხაილოვიჩი მინისტრების პრეზიდენტათ რჩება, მაგრამ სანამდისინ ეს დროებით თავისუფლებით სარგებლობის, იმის მოვალეობას ასრულებს რისტიჩი, სამხედრო სამინისტრო ემზადება აღმოსავლეთისა და სამხრეთის სამზღვრებზე მოქმედების დაწყებას. ამბობენ, რომ ავსტრია არ იქნება ამის წინააღმდეგიო.

პარიჟი, 9-ს აგვისტოს, ევროპის უმთავრესს სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკება არის იმის შესახებ, რომ პორტას ვარისმყოფლობა წარუდგინონ იმ მოსამსახურე პირების განთავისუფლებაზე, რომელნიც გერმანიისა და საფრანგეთის სოლონიკში მყოფი კონსულების მკვლელობაში არიან გარეულნი.

ლონდონი, 9-ს აგვისტოს. ინგლისის გემმა, „Azincourt“-მა მიატოვა მალტის ნაპირები და ბეზიკის ნავსადგურისაკენ წავიდა; თან აუარებელი მასალები მიაქვს რეტრანშამენტების გასამაგრებლად.

ომის ამბები

არტაანი, 5 აგვისტოს („დროების“ კორრესპონდენცია). არტაანის ციხის აღებამ დიდი ამბავი მოახდინა და დიდი ლაპარაკი აღძრა. არამც თუ მარტო რუსულმა გაზეთებმა, მთელი ევროპის გაზეთებმაც დაიწყეს ამაზედ წერა და

ფელეტონი

იმერეთ—სამეგრელოდამ.

— ბუნება. ამინდი.—მოსავალი და „წასავალი.“—ორპირი.—საჯავახო.—სამი შკოლა.

ვინც ეძებთ სიამოვნებას და სიტკბოებას, მომითითებია იმერეთ—სამეგრელოზედ. განსაკუთრებით სუფთა ხელის გულის და მოტვლეპილი თავის მსგავს ქიზიყთან შედარებით. ეს მხარე ეხლა დიდ განსხვავებას, საუცხოვო შეხედულობას წარმოგიდგენს. იქ, ქიზიყში, რომ დედამიწაზედ კენჭებსა სთვლიდით, აქ ეხლა კოჭებამდისინ რბილი მწვანილობაში დაგოგავთ; იქაური მთები და გორები, რომ დალეჯილ კბილებს მოგაგონებდათ, თითქო საკბენათ ემზადებაო, აქ, იმის ნაცვლად ბუროსის მსგავსი ტყე ღელავს; იქ რო სასხურებლათ წყლის წვეთი გენატრებოდათ,—აქ მშვენიერი წყაროები, ღელეები და დიდრონი მდინარეები მოგითამაშებენ თვალწინ, აფხაზურ ლეკურსავით მოცეკვავენ; იქ რო პაპარაქება სიცხე კვინიხში უმოწყალოთ გცემდათ, ან ხმელი ქარი სუნთქვას გიჭირებდათ, აქ მზგავსს ნატვრის ბეჭდითაც ვერ ელირსებით, ბუმბებითი ქოლგები მზათა გაქვსთ: თითოული ფეხისე გადადგმაზე წაატყდები დაბურულ კორტა ხევს, რომლებსაც გრილი და საამო, სულის მომბრუნებელი ნიავი ეთამაშება, როგორც გუშინდელი პატარძალი თავის ახალ „ნახევარს“! ერთი სიტყვით, რაც გესიამოვნება და როგორც! უზომოს აქ ვერაფერს ჰხედავთ, ყველაფერს ზომა აქვს... დილასაღამოთი აქ ისეთი სიგრილეა, რომ პალტოს არ გაიხდით, შუადღეზე ისეთი სიცხეა, რომ სერთუკი მოგინდებათ, ღამით ისეთი სითბო, რომ საბანი შეგიძლიათ დაკეცოთ და მუთაქას მიუმატოთ!. სიცხე მორცხვ პატარძალსავით არ გაგაპილპილებსთ და სიმწრის ოფლით, პირს ვერ მოიბანთ!....

სამოთხეს, რო იტყვიან, ის არის, რალა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ ანგელოზები, კეთილი ანგელოზები, არ არიან! როგორ არ არიან, მაგრამ იმაზე მეტი არა, რამდენიც მეორე ნაირები, ე. ი. უკეთურები!.. მაგრამ მაინც მშვენიერებაა!...

ოხ, მშვენიერებავ! შენც რომ არ იყვე, რაღა იქნებოდი, საწყალი გული? შენ შეგხარის და მხნევდება ბედკრული და სიყრმიდგან გაუხარებელიც! შენ იზიდავ უცნაურის ძალით და ატკბობ ერთბაშათ ყველას!.... შეიძლება შენ გამშვენდე და დალამაზდე, მაგრამ შესაძლებელია ამაზედ მშვენირი და გახდე? შესაძლებელია გაუმჯობესდე, მაგრამ გაუ-

და ძიება. მართალია, რომ ეს Ართაანის ციხე-სიმაგრე დიდათ გამაგრებული იყო და იმის აღება დიდათ ძნელათ სჩნდა და ამიტომაც არ შეიძლებოდა არ გაკვირვებულიყო კაცი იმისი ასე ადვილად აღებაზე და ეგრეთვე მცირე ზარალზე, იმის აღების დროს, ჩვენის მხრით.

Ოსმის მხრივ Ართაანს დიდი ფასი აქეს, როგორც იმისთანა ადგილზე გაშენებულს, რომელიც Ოსმალოს ჯარს უკრავს გზებს ამ გზიდამ ჩვენი ადგილებისაკენ.

Თითონ ქალაქი Ართაანი კი იმდენი არაფერია; მიემგზავსება უფრო სოფელს, მინამ მაზრის ქალაქს.

სახლები მიწისაა, ბანებით; ორიოდე ქუ , ისიც ვიწრო და ნაგვით სავსე. მართალია, ორიოდე კარგი სახლებიც არის, როგორც მაგ. ფაშის სახლი, ტელეგრაფის სტანცია, ლაზარეთი სალდათების კაზარმებით და ორიოდე კიდევ სხვა სახლი. შემჯობესი სახლები სახელმწიფო ხაზინით არიან აშენებულნი.

როგორც თფილისს, ისე Ართაანსაც მტკვარი შუაზედ ჰყოფს. მარცხენა მხარეზე არის ბაზარი, რომელშიაც Ახალციხელი და Ახალქალაქელები შემოდიან თუ ღარიბი ვაჭრები, ვაჭრობენ სხვა და სხვა საქონლით. Ამ ვაჭრების სიტყვით ვაჭრობა Ართაანში ისე კარგათ მიდის, რომ უკეთესი არ შეიძლება. Ამ მხარეზედვე არის ციხე გალავანი; როგორც ეტყობა, დიდი ხნის აშენებულია. Ციხეში არსენალია გამართული, სავსე პატრონებით და თუ სხვა და სხვა სამხედრო იარაღებით. Ამათ გარდა Ოსმალოებისაგან დაგვრჩა ჩვენ ეგრეთვე მეჩეტი, პურით სავსე.

მარჯვენა მხარეზედ, ლაზარეთთან არის კიდევ პატარა ბაზარი. Ამ ბაზარში ჰყიდიან საჭმელ სასმელს და, რაღა ლაპარაკი უნდა, რომ, ამ დროს, ამათაც კარგი შემოსავალი აქვთ.

მტკვარზედ არის გადადებული სამი ხიდი. Ერთი შუა ქალაქში, ხისა უმუაჯირო, განიერია ასე, რომ ურემიც გადავა ზედ; სხვა ორი იმას ქვეით არიან, ცხენოსანსა და ქვეითს ხალხს შეუძლიანთ მარტო გასელა-გამოსელა.

Ართაანის Ოსმალო მცხოვრებელნი, ნახევარზე მეტი, თავის სახლებში არა ცხოვრობენ. ქალაქის აღების დროს დაიფანტნენ ახლო-მახლო სოფლებში და ამის გამო სახლები ცარიელებია.

Თითონ ქალაქი დგა ფერდობზე; გარშემო არტყია მთები და მარტო სამხრეთ დასავლეთის მხრივ ეკვე მინდორი-უდევს. რომ გახედოს კაცმა, თვალს იამება. მტკვარი ვერცხლის ლენტის მგზავსათ ბრწყინამს, მინდორი ამწვანებულია ყანებით, სათიბი ადგილებით და მოხნული მიწებით. Აქა-იქა სოფლები გაფანტულია; მკა ყანისა ზოგ ადგილას დაიწყეს; ჭირნახული. როგორც [illegible], [illegible] ქარგია წელს.

Თითონ ხალხი მწყნარად არის ჯერ-ჯერობით, მაგრამ—თუ ერთი ფეხი გადაგვიბრუნდა, მაშინ კი არა მგონია ამათ მოისვენონ.

ჭურდობა დიდია ერთი-ერთმანეთში და ეგრეთვე ჩვენ მხარეზედაც, Ახალციხის და Ახალქალაქის მაზრებში. Ამის მიზეზათ ერთი ერთმანეთში მუდამ ჩხუბი და დავიდარაბაა: ისე დღე არ გავა

* * *

გამომძიებლები სხვა და სხვა მხარისაკენ არ გარბოდნენ.

Გასულ მკათათვის თვეში დიდი შიში იყო. Ველოდით მუდამ საათს Ოსმალოს ჯარის დაცემას, მარამ, მადლობა უფალსა და ოტრიადის წინამძღოლს, რომელსაც შეეძლო თავის დროზედ იმათი ამბების შეტყობა და საქმის დაჭერა. მართალია, 21—23 იყო პატარა საქმე ყაჩაღ-მიღრალისთან და იმის ამხანაკებთან, რომენლიც ჩვენიდამ თხუთმეტს ვერსტს იქით დაბანაკებულიყვნენ, სეიზალს და Დიმტირის სოფლებთან, მაგრამ მალე გაიქცნენ დიდის ზარალით.

Ახლანდელ ღროში შიში არსაითგან არ არის. Ოსმალოს ჯარისა არა ისმისრა. ჩვენი ოტრიადი ზაიმში წავიდა, საცა მუხთარ-ფაშა, თავის ჯარებითა ძიელ გამაგრებულ ადგილებში დგას. ჩვენი კორპუსი აპირობს იმაზედ დაცემას. Აჭარაში იყო, ამას წინათ არეულობა, მაგრამ ეხლა დაწყნარებული არიან. Იქით მხრითაც შიში არა არის-რა.

თ—ოვი

აზიის ბრძოლის ველიდამ

რუსულ გაზ. „Голосъ“-ში ძიურუქ-ბარას ბანაკიდამ, სხვათა შორის, იწერებიან: მუხთარ-ფაშას, რა იმისთანა ძალა დაატანონ სტამბოლიდამ, ის მაინც ვერ გაბედავს წინ წამოწევას, თუ რომ ჩვენ არ დავიხიეთ უკან. Ამაში, სხვათა შორის, ის გარემოებაც გვარწმუნებს, მუხთარ-ფაშამ, ზივინთან დამარცხების შემდეგ, რომ ვერ გამოგვდია უკან.— თუ რომ Კავკაზიაში ჩვენი საქმე, ამ უკანასკნელს დროს, ცოტა ცუდათ მი-

---

მჯობესდე ისევ ისე, როგორცა ხარ ეხლა!... რომელი მხატვარი იქნება, რომ შენი სიმშვენიერის მსგავსი რამე გამოსახოს ქალალდზედ? როგორი ხელოვნება იქნება ისეთი, რომ შენს უნაკლულო სურათს მიამგვანოს რამე!... შენი ცქერით ესტკბები მე, მწარე ნაღველ ნაჭამი; შენი ჭვრეტა მახალისებს მე უხალისოს და მამსუბუქებს ათი ათასი ფუთის სიმძიმით დატვირთულს! Ისე მამსუბუქებს რომ, მგონია, ჰა, მხრებზედ ფრთები გამომსხმია მეთქი; მგონია, ერთი ქუსლი დაკრა დედამიწაზედ, გავფრინდები ზეცა , ვარსკვლავებთან—მეთქი!.... მე, შენს კალთაში გაზრდილი, ბუნებავ, დღემდი ვერ გცნობდი! Აქ არ იყო, ჩემი აკვანი, რომ ნიავით ირწეოდა და ფოთლები ჩუმი შრიალით ნანინას მეუბნებოდნენ? Აქ არ იყო, რომ, ყმაწვილობის დროს, გიჟურათ დაეხტოდი და ჩემს კიეილ-წიეილს

მთები მოძახილს აძლევდნენ?.... Ოხ, ვერ დაგიეიწყებ, მშვენიერებავ, ვერა! Იმას ვისაც უყვარდი უყვარხარ ისევ! Თუმცა მალულად, მაგრამ მაინც უყვარხარ:

* * *

— Აი ფრინველები, ეს მეხუთეთ მოფრინდნენ თავის შორეულ მხვიდგან, შენკი ამ დროების განმავლობაში ერთხელაც არ მომკითხე ამბავიო!„—Ამბობ შენ გულებაში.—მესმის, მესმის, ეს შენი საყვედური! მართალიხარ ყველაფერში, მაგრამ მეც მართალი ვარ, როცა ვამბობ, მაინც მიყვარდი გულით, მეთქი. Ღლისით რომ დაეყრდნობოდი ბუჩქნარზედ, შენ გიგონებდი, ცრემლით; ღამით, რომ ჩამოვჯდებოდი ქვაზედ,—შენზედ ეფიქრობდი, ისევ ცრემლით!. Და ეხლაც, როცა შენთან ვარ, შენ გიგონებ და გულჩვილ, სათუთათ გაზდილსავით მდუღარე ცრემლი გადმომქუხს!

მკითხველო, გაშალე აქ ხალიჩა... ხალიჩა, რათ გინდა, წავხტი!. აი, ფოთლები და წამოწექი მხარ-თეძოზედ! Ეხლა დიუძახე.... Ყმაწვილო, მოიგე საყვარლის გული და მოუჯექ გვერდით! მკვდარი რომ იყვე, გაგაცოცხლებს და უხოროცოს, ხორც შესხმულად გაგხდის იმისი თაფლ-ნარევი „კი ჩემო ბატონო, შენი ჯირიმე!“, Ან უფრო რბილი, ტკბილი, შარბათით შეზავებული „ქო, ჩქიმი პარტენი, სკამი ჭირიმე“!.. მობრძანდით, მოხუცებულებო. მოითხოვეთ ცხელი ღომი (თუ ღ ძილები დასუსტებულები გაქვსთ); ჩადეთ, შიგ ყველი; ჩაიდეთ პირში, მემრე ერთი ოდნავ მოუქნევეთ ყბა და მშვიდობით! ჩავა „ყლურწუნ-ყლურწუნით“, „სადაცა ჯერ არს“. მაგრამ იმდენი კი მოითმინეთ, რომ ღომი გაგრილდეს, თორემ ვაი კუჭის ბრალი;... Თუ როგორმე, ვინიცობაა, მო-

ღის, ამაში სხვა და სხვა გარემოება არიან დამნაშავე. სხვა დროს, კავკასიაში „შინაგანი საქმეების" სხვა გვარ მდგომარეობაში მშვიდობიანობის დროს, ჩვენ ეხლა, როდესაც ვომობთ, იძულებულნი არ ვიქნებოდით, იქ ჩვენი ჯარის რამდენიმე ნაწილი დაგვეტოვებია, რომ, ამ რიგათ, იქაური მცხოვრებლები ყოველ-შემთხვევისათვის, შიშის ქვეშ გვყოლოდა, ან და, რომ აქა-იქ ადგილობრივი მცხოვრებლების არეულობის დასამშვიდებლათ მოგვეხმარა. მაშასადამე, თითქოს ამ მოსაზრებიდამ წარმომდგარა შიშმა დაგვატოვებინა ჯარი კავკასიის ზოგიერთ ადგილებში, რომლითაც ომის ველზე მყოფთ ჩვენს მომქმედ არმიას, ძალა მოვაკელით. მეორეს მხრით, არ შეიძლება არა ესთქვათ, რომ ჩვენი პირველი დასაწყისი ომის პლანი, მცირე აზიის სამზღვარზე, იყო სამზღვრების დაცვა და მტრის არ შემოშვება. თუ რომ დასაწყისში თათრების საომრად მოუმზადებლობამ გამოგვაცვლევინა ეს ჩინებული პლანი და, გარდა ამისა, არტაანის აღებამ უფრო და უფრო გაგვიტაცა წინ, მაშინ საჭირო იყო, ამის დაგვარად, იმისთანა საშუალებაების ამორჩევაც, რომლითაც გამოცვლილი პლანის შესრულება შესაძლებელი იქნებოდა. ამის მაგიერ ჩვენ გავფანტეთ ჩვენი ჯარები, თითქმის ყოველის მხრიდამ ჩვენ მივადექით მტერს, რიონის ატრიადიდამაც, ყარსთანაც და ბაიაზეთთანაც. ყოველის მხრიდამ და ყოველგან გვინდოდა მტერი დაგვემარცხებია, მაგრამ, სამწუხაროთ, მტერს ყოველგან ვაჩვენეთ, რომ ჩვენ, იმათთან შედარებით, ერთობ მცირე ჯარი გვყავს, რომლითაც იმათ ძრიელ კარგათ ისარგებლეს და ეხლაც სარგებლობენ. ამ გვარი ჩვენი მოქმედების შემდეგათ იყო სალანლუღის იქით, ციხის-ძირთან და სუხუმში ჩვენთვის არა სანუგეშო საქმეები და მთელი პლანის უვარგისობის დასამტკიცებლად კი—ყოველი მხრით ჩვენი ჯარების უკან დახევა და თავის დანებება ზოგიერთ იმისთანა ადგილებისა, რომლების აღებაც იაფად არ დაგვჯდომია."

„ეხლა კი, როდესაც შეცდომილებაში დარწმუნდნენ და ცოტ-ცოტას მის გამოკეთებას ცდილობენ, როდესაც ჩვენს უმთავრესს არმიას დღე მუდამ ჯარი ემატება, საქმეები უფრო კარგათ მიდიან.—ჩვენი ჯარების პატრონს,სირცხვილი იქნება მუხთარ-ფაშის გვეშინოდეს. ის ფიქრი, რომ მუხთარი ჩვენს სამზღვარზე გადმოვაო. ერთობ უსაფუძვლოა".

— თფილისიდამ იწერებიან, 22 ივლისს, ვენის გაზეთში Politische „Correspondenz"-იაში: „აზიის ომის ველზე გამოსაჩენი მოქმედების მიყრუება იხსნება ერთი იმით, რომ ორთავე მხარე, როგორც რუსები, ისე თათრებიც, დახმარებას ელიან და მეორეთ იმით, რომ იქეთკენ საშინელი სიცხეები დგას."

ევროპის ბრძოლის ველიდამ

ინგლისურს გაზ., „Daily News"-ში სწერენ ბელიდამ, 28 ივლისს: რუსის ჯარები ჯერ-ჯერობით სრულებით უმოქმედოთ არიან და ახალ ჯარებს მოელიან, რომ პლევნასთან წაგებული საქმის გამობრუნებას შეუდგნენ. შვიდი ახალი დივიზია გზაზედ არის და ამ რამდენიმე დღის განმავლობაში მომქმედ არმიაშიც მოელიან. ზოგიერთი იმათგანი ჯერ კიდევ რუსეთიდამ არ გამოსულან, ზოგი კი რუმინიის ტორიტორიაშიც შემოსულა და აჩქარებით უმთავრესი კვარტირისაკენ ეშურებიან.—უკანასკნელი ასი ათასი კაცი კიდევ იქმნება საჭირო, რომ რუსეთმა წაგებული ამოიგოს, და ეს ასი ათასი კაცი გზაზედ დგას."—„პლევნა უთუოთ აღებული უნდა იქნეს, ამბობს შემდეგ კორრესპონდენტი და ოსმან-ფაშა და მისი ჯარიც სრულიად უნდა დამარცხდეს —ამ გვარის დაბეჯითებით ლაპარაკობენ დღეს რუსის არმიაში,პლევნასთან მომავალის საქმის შესახებ.—დიდი-მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ბულგარეთში არის ამ ჟამად და იმის წინ შახავსკოი და კრიდნერის გამაგრებული ბანაკები არიან, პლევნას წინაამდეგ; დრაგომიროვის დივიზია ტრნოვსა და ლოვჩას შუა არის, რომ აქედამ ოსმალოს ჯარს ტრნოვზედ დაცემა მოუშალოს. ამბობენ ლოვჩასა და პლევნას შუა 60 ათასიდამ, ვიდრე 70 ათასამდე ოსმალოს ჯარი დგასო, რომლის დამარცხებაც საკმაოდ ძნელი იქნებაო."

—გაზ. „Times"-ში სწერენ ბუხარესტიდამ, 29 ივლისს; საკვირველია, რომ რუსებს გადუწყვეტიათ (?), რომ ამ წელს ბალკანიის იქით მოქმედება შეაჩერონ.—

—სისტოვიდამ სწერენ „Daily News"-ში, 29 ივლისს: ოფიციალური ანგარიშიდამ აღმოსჩნდა, რომ პლავნასთან რუსების მხრით, ათასი კაცი მოუკლამთ და ოთხი ათას ხუთასი დაუჭრიათ, ზოგი სასიკვდილოთ, ზოგი მსუბუქად. ის ცნობები რაც წინეთ გამოვიდა ამის შესახებ ეხლა თან-და-თან მტყუნდება, რადგან დღე მუდამ ბრუნდებიან, ჩხუბის შემდეგ,

---

გეწყინოსთ მარტოკა ყოფნა (თუმცა, არა მგონია) უხმეთ იმერელს, მოისვით გვერდით და დაუგდეთ ყური იმის საამო, დაუსრულებელ ჭიკჭიკს! ნუ გეშინიანთ, აქ იმისთანას ვერავის შეხვდებით, რომელმანც, სალამის მაგიერათ, „ზაჰრუმარი" გითხრათ, რომელსაც „დედის რძე" კიტრათ მიაჩნია, „მამის სული" ფარათ და შენი გაჯავრება—ჩალათ ან ტყემლათ! არა, აქ მუდამ გესმის მორიდული და ტკბილი სხაპა-სხუპით მუსაიფი,და არა დალეჭილი და წელ-მოწყვეტილი უკადრისი სიტყვები, ნარიგი ფრაზებით რახა-რუხი!..

* * *

წვიმებმა კარგა ხანია ფეხი აიკვეთეს აქეთკენ. რვა კვირაც იქნება რიგიანი წვიმა არ მოსულა, ნამი კი მუდამ ღამე მოდის. ბრილი დღეებია.—როგორი მოსავალია?

— მოსავალი რათ გინდა. რაა! აგერ უწვიმობამ, თვარა სუნთლათ გასკდებოდა ყოლიფერი. პურს კი, გქონდეს ხვტის წყალობა, კაი დარი დაუდგა. ყურძენს ახლავე ტუტის ფერათ მიაყარა რაცხა. ადესეის ყურძენი (იმერეთ-სამეგრელოში ბევრმა მოაშენა ერთგვარი ვენახი, რომელმანც სხვილ მარცვლიანი, მაგრამ უგებური ყურძენი იცის, და ეს ყურძენი აქეთკენ არ ინაცრება) კი არ წახდა, ლეტის წინაშე. სიმიდეი და ღომი მაინც კარქი იქნება, წორეთ. ბედოური ვერ გაჭიანდება, იმისთანეი სიმინდაიე და ღომიც ნახევარი ცულდის ტარის დენაა!.. მოსავალი კარქები იქნება,მარა რათგინდა, ბატონო, მაგიერათ წასავალიც ბევრია. ასეთ ასეთი დამარმალებული ყაძახები დაგვაკლდა ამ ურჯულო—მამაძაღლებთან ბრძოლაში, რომ იგენის ხვანთქარი ღირსიც არ იყო სლამი მიეცა. რაცხა ოხერი და მუნდრეკი ყარსიავო, ამყრალდეს იგენის ძვალი და ბილი, იმაზე არიენ თურმე შეხოცილები, მარა არაფელი ეშველათ,საშველი არ დააყარა ღმერთმაიგენს თავზე! ახლა კიდო ეს დალოცვილი მუცელ-კეთილი გაჩნდა, დაილოცა იგენის გზა, და გაჭირდა, ბატონო, საქმე. ისთე კვირა არ გავა, რომ ვორი-სამი არ დამარხონ. აბდალეიკი ყოფილა, მედაჩემმა ღმერთმა, იგი, ვინცხამ ამას მუცელკეთილი დაათქვა! ბატონო, ვისაც შეეყარა, კეთილი კი არაფერი ჩააყარა და რალა კეთილს ეძახიან, მიკვირს! გახსნის, ბატონო, მუცელში, უკაცრაული მოხსენებაა და ცხრა დღემდი გარჯილ სულს ამუართმევს, თუ გადარჩენა არ უნდა. მერე მოხდა მაინც იცოდეს, იმ გზა ბედნიერმა! წნეულს, რომ გამოიარო, გადუურჩე, გაისათ კიდო მოგძებნის და გესტუმრება. ყველა ბატონებზე უარესია. ამას ფშატეც ჯობია, ხველა ბატონებიც, წითელეიც და ყვითელეიც.!

თეოფ. ქანდელაკი

(შემდეგი იქნება)

უკან ჩამორჩენილი მეომრები. ყოველ შემთხვევაში შეუძლებელი იყო თავიდამვე ნამდვილათ შეედგინათ ანგარიში, რადგან ომის ველი მტერს დარჩა ხელში“.—„ახალის ჯარის მსროლელთ ბრიგადამ მოაღწია კიდეც. ეს ბრიგადა ოთხი ბატალიონიდამ არის შემდგარი და დაბანაკდა ზიმნიცაში. 30 ივლისს დუნაიზედ უნდა გადავიდეს და, პლევნაზედ პირველათ მიმავალს ჯარს, უნდა შეუერთდეს.“—„დუნაის ხიდსა და სისტოვს შუა“ „ჰავასის სააგენტოს“ კორრესპონდენტს დაეცა რუსის სალდათი; უშველებელი კეტით ჯერ გაარეტინა, მემრე პირი ქვიშით ამოუმსო და გაცარცვა მოუნდომა, მაგრამ მოეშველენ და სალდათი იქვე დაიჭირეს. ეს იშვიათი შემთხვევაა, თუმცა მაგგვარი რამ შეიძლება ყველას და ყველგან შეემთხვეს, როგორც დღისით, ისე ღამე.—მე ხშირად ერთად ერთს, უიარაღოთ, მიელია, მაგრამ არაფელი ამისთანა არა შემთხვევია რა და განა იმიტომ კი არა, რომ მე მაღალი ტანის და, საზოგადოთ, ღონიერი კაცის შეხედულება მაქვს, არამედ ამიტომ, რომ რუსის სალდათი არ არის ისე გაზდილი, გაწვრთნილი და ამნაირი მიმართულების კაცი, რომ მაგისთანა რამე ჩაიდინოს. ის ერთი ზემო მოყვანილი შემთხვევა, სრულებით არ ამცირებს საზოგადოთ რუსის, სალდათის კაცთ-მოყვარეობითი . . . მიმართულებას . . .“

— ამავე გაზეთში ნიკოპოლიდამ იწერებიან, 25 აგვისტოს: დიდმა მთავარმა, მოქმედი არმიის სარდალმა, ეს სამი ღღეა, პორადინში, ბარაგაჩში და ტრსტენიკში მდგომი ჯარების დათვალიერებას მოუნდა. თუმც გენ. ბრიდნერი სახელდობ კი ითვლება პლევნასთან მისასვლელ ჯარის წინამძღოლათ, მაგრამ, ამბობენ, მოქმედი არმიის სარდალი თავათ მიიღებს თავის თავზეო—ამ საქმეში ყოველ გვარ უმაღლესს და უ'აჭიროეს განკარგულებასაო.— ყველაფერი გვიმტკიცებს, რომ საშინელი შეტაკება უნდა მოხდეს პლევნასთან. ამბობენ რუსეთის ჯარის რიცხვი, პლევნასთან საქმისთვის, სამოცი ათასი არის, რომელსაც ორი დივიზია კიდეე რუმინიის ჯარისა, გენ. ანგელსკოს წინამძღოლობით, დაეხმარებაო. შეჭველია, რომ—თუ პლევნასთან ოსმალები საბოლოოთ არ დაამარცხეს, მაშინ ომი ზამთარშიც გასტანს.—რუსის აფიცრები, თუმც აღტაცებით კი ლაპარაკობენ ამ ზამთრის კამპანიაზე“ მაგრამ ერთობ გაჭირბება „რუსეთის შუაგულ ალაგებიდამ, სამხედრო სურსათის აქეთკენ მოზიდვა.“

— „რეიტერის სააგენტო“ გვაცნობებს სტამბოლიდამ, 29 ივლისს, რომ დატყვევებული ბოლგარიელები ამბობენ ვითომც რუსებს ტირნოოსკენ უკან დაეხიოთ.

განცხადებანი

დაიბეჭდა და გამოვიდა სტამბიდამ

ლექსი

თ. ი. ზ. ჩოლაყაშვილის

გარდაცვალებაზედ

თავის სურათით

თქმული

დავით ბეგიშვილისაგან

ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.

ფასი ყველგან ორი შაური.

მიიცემა ქირით სახლები ბულვარის ბულვარიკის **ი**ერუსალიმსკისა, **ბ**ერაზე, ყოველის **კ**უთვნილებით. **სულ** ოთხი ფლიგელია, **ო**ლგის ქუჩაზე, ექვს ოთახიანი, დანარჩენი სამი იქვე ეზოში; თითოეულ ამ ფლიგელში სამ-სამი ოთახია.

ქილილა და მანა,

თ ა რ გ მ ნ ი ლ ი **ს პ ა რ ს ულ ი ლ ა ნ** ქართულ ენაზედ **მ ე ფ ე** **ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა გ ა ნ** **დ ა** **გ ა ლ ე ქ ს ი ლ ი** **ს ა ბ ა** **ს ულ ხ ა ნ** **ო ლ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა გ ა ნ.** სრულათ არის დაწერილი და ყდაში ჩასმული. ფასის გაგება შეიძლება მელიქიშვილის სტამბაში.

გამოცდილი **და** **განათლებული** **ქალი,** რომელმაც იცის რუსული, ფრაცუზული, ანგლიური და ნემენცური, **აძ-**

ლევს **ურ ო კ ე ბ ს** **ი ა ფ** **ფ ა ს ა თ.**

მსურველს ამ ქალის ნახვისა, შეუძლიან მიჰმართოს მადამ **ქ ა ნ ო ნ ი ჩ ს.** **ტ ე ტ-** რადოვის სახლებში **ო** ვრაკაკის ქუჩაზე.

ს რ ულ ი **კ ა ნ ო ნ ი** **ვ ა ხ ტ ა ნ გ** **მ ე ფ ი ს ა,** **ბ ი ო-** **რ გ ი** **მ ე ფ ი ს ა,** **ქ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს ა,** **ა ღ ბ უ ლ ა ს ი-** **ბ ე რ ძ მ უ ლ ი,** **ს ო მ ხ უ რ ი** **ა ნ** **უ რ ი ო ლ ი** (მოსესი). **ლ ო ნ ჯ** ქალალდზე დაწერილი, სუფთათ, და ყდაში არის შეკრული.

ფ ა ს ი ს **გ ა გ ებ ა** **შ ე ი ძ ლ ებ ა** **მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი ს** **ს ტ ა მ ბ ა შ ი.**

ჰ ს უ რ თ **ა ი ყ ვ ა ნ ო ნ** **ყ მ ა წ ვ ი ლ ე ბ ი** რომელნიც უნდა იყვნენ სასწავლებელი დაბალი კლასებისთვის მოსამზადებლად: **ა გ რ ე თ ვ ე** **შ ე უ ძ ლ ი ა თ** **ა ა ს-** **რ ულ ო ნ** **ქ ა ნ ტ ო რ ბ ი ბ ლ ი ო ბ ა** როგორაც იყოს კანტორა, **მ ა მ უ ლ ი ს** **გ ა გ ე-** **ო ბ ა.** იკითხეთ ენფიანჯიანცის წიგნის მაღაზიაში, დიდი პოლიციის ქვეშ.

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია.	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში		**კაპ**
და სამზღვარ გარეთ:		
ლია წიგნის		4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .		8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 2 აგვისტოს		
ერთი ანეული ლირს:		
ლონდონში 24 პენსი.	—	78
პარიეში 260 სანტიმი.	—	81
ესკონტი(სარგებლისფასი)	$7\frac{1}{2}$	—
ბანკის ბილეთი 5%	94	—
მოგებიანი(პირველისესხი)	206	50
მოგებიანი (მეორე ესესხი)	206	75
ბირჟის ფურცლები:		
თფილ. საზს. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	83	—
მოსკოვის (5%). . .	90	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	158	—
ფოთი-თფილ.რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	465	—
ქაკაზის და მერკურის. .	203	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	735	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა

	ომან	კაპ
თფილისი, 7 აგვისტოს		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	20
ფქვილი წითელი. . .	1	—
ქერი ფუთი. . .	—	70
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	—
—ამერიკისა, ფუთი. .	8	50
ბაპენტილი ბამბა ფუთ.	7	80
მატყლი თუშური ფუთ.	6	—
—ოარაქამისა ფუთ. .	3	80
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	20
ძონი, ფუთი. . .	5	50
ძონის სანთელი ფუთი.	6	20
სტეარინის სანთელი, ფ.	12	—
ხორცი ძროხისა. ლიტ.	—	54
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	54
სპირტი, გრადუსი .	—	12
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	80
—ფხვნილი ფუთი . .	7	50
ყავა გრგვალი, ფუთი .	25	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	9	—
ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	7	92

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Августа 1877 г. Типографія Меликова. ბამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხ